ბურთიად
GÜRTİAD

# *HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*
# *კვირის ეკონომიკური გამოცემა*

## *04 Aralık / დეკემბერი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6 676.3 | 10.4% | 17.3 % | 0.1% |

## 2023 Birleşmiş Milletler İklim Değişikliği Konferansı

## გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენცია 2023





Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili Birleşik Arap Emirlikleri'nin Dubai kentinde düzenlenen 28. Birleşmiş Milletler İklim Değişikliği Konferansının Dünya Liderleri Zirvesine katıldı.

Konferansın düzenlendiği Dubai Expo'da Gürcistan Başbakanı ve zirveye katılan diğer ülke liderleri Birleşik Arap Emirlikleri Devlet Başkanı Şeyh Muhammed bin Zayid en-Nehyan ile Birleşmiş Milletler Genel Sekreteri António Guterres tarafından karşılandı.

Garibashvili heyet ile birlikte zirvenin açılışına katıldı. Zirvede Birleşik Arap Emirlikleri Devlet Başkanı Şeyh Muhammed bin Zayid en-Nehyan; Birleşmiş Milletler Genel Sekreteri António Guterres ile İngiltere Kralı 3. Charles açılış konuşmaları yaptılar.

Gürcistan Başbakanı BM 28. İklim Değişikliği Konferansının Dünya Liderleri Zirvesine katılanlara hitap etti.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING




Bunun yanı sıra, Irakli Garibashvili Dubai'de yer alan zirvede AB Konseyi Başkanı Charles Michel ile görüşüp Gürcistan'ın AB'ye entegrasyonu sürecini ve reform gündemini ele aldı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს კლიმატის ცვლილების 28-ე კონფერენციის მსოფლიო ლიდერთა სამიტში მიიღო მონაწილეობა, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, დუბაიში გაიმართა.

Dubai Expo-ში, სადაც კონფერენცია გაიმართა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და სამიტის მონაწილე სახელმწიფოთა ლიდერებს არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტი შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ-ნაჰიანი და გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერეში დახვდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად სამიტის გახსნას დაესწრო. სამიტის მონაწილე ლიდერებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტმა შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ-ნაჰიანმა, გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მეფემ ჩარლზ III-მ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების 28-ე კონფერენციის მსოფლიო ლიდერთა სამიტის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.
ამას გარდა, ირაკლი ღარიბაშვილი დუბაიში გამართულ სამიტზე ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა, მათ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი და რეფორმების დღის წესრიგი განიხილეს.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

## Gürcistan Başbakanı Asya Kalkınma Bankası (ADB) Başkanı ile Bir Araya Geldi

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრეზიდენტს შეხვდა



Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili Orta Asya Bölgesel Ekonomik İşbirliği (CAREC) Forumu kapsamında Gürcistan'da bulunan Asya Kalkınma Bankası (ADB) Başkanı Masatsugu Asakawa ile bir araya geldi.
Görüşmede Asya Kalkınma Bankası ile mevcut işbirliği, bilhassa ekonominin çeşitli sektörlerinin üzerine duruldu.
Hükümet Başkanına göre Gürcistan bankanın 18 yatırımdan oluşan ve 1.9 milyar doları kapsayan mevcut portföyünü takdir etmekte. ADB'nin toplam portföyü ise 4.5 milyar doları buluyor.
Taraflarca ülkedeki ekonomik durumunu, mali ve bütçesel parametreleri değerlendirildi.
Ülkenin 2023 yılında ekonomik büyüme açısından gösterdiği olumlu dinamiklerin korunmasının önemi vurgulandı.
Irakli Garibashvili'ye göre ekonomik büyümede özel sektörün sağlamlaştırılması çok önemli ve bu süreçte Asya Kalkınma Bankası'nın rolü mühimdir.
Toplantıda ayrıca Gürcistan Hükümeti'nin hem iş yapmayı kolaylaştırmak, hem de altyapı projelerini gerçekleştirmek adına reformlara yatırım yaptığını kaydedildi.
Bu da ülkenin transit, lojistik, turizm ve iş merkezi olma potansiyelinin sergilenmesine yol açmakta.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრეზიდენტ მასაცუგუ ასაკავას შეხვდა, რომელიც თბილისში ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) ფორუმის ფარგლებში იმყოფებოდა.
შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აზიის განვითარების ბანკთან არსებულ თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.
მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო აფასებს ბანკის ამჟამინდელ პორტფელს, რომელიც შედგება 18 ინვესტიციისგან და მოიცავს 1.9 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო ADB-ს ჯამური პორტფელი 4.5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.
მხარეებმა განიხილეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება, ფისკალური და საბიუჯეტო პარამეტრები.
აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმ პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება, რაც ქვეყანამ აჩვენა 2023 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით.
ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, კერძო სექტორის გაძლიერება უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური წინსვლისთვის და ამ პროცესში აზიის განვითარების ბანკის როლი გადამწყვეტია.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ინვესტირებას ახორციელებს რეფორმებში, რაც ხელს უწყობს როგორც ბიზნესის გამარტივებას, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებს.
ეს კი მხარს უჭერს ქვეყნის – სატრანზიტო, ლოჯისტიკის, ტურიზმისა და ბიზნესჰაბის – პოტენციალის გამოვლენას.

## CAREC 2023




Tiflis'te Orta Asya Bölgesel Ekonomik İşbirliği (CAREC) Bakanlar Toplantısı yer aldı.
Gürcistan 2016 yılında üye olduktan sonra CAREC'in toplantısı bu sene ilk kez Tiflis'te düzenlendi.
Bakanlar Toplantısına CAREC üyesi 10 ülkenin devlet kurumlarının en üst düzey yetkilileri, özel sektör, kordiplomatik ve ADB Başkanı Masatsugu Asakawa dahil olmak üzere donör kuruluşlar temsilcileri iştirak ettiler.
Program üye ülkelerde ekonomik büyümeyi ve fakirliğin azaltılmasını teşvik etmeyi öngörmekte, bakanlar toplantılarında ise ticaret teşviki, ulaştırma ve enerji alanları gibi bölgesel işbirliğinin önemli konuları ele alınmakta.
Tiflis'te yer alan 22. Bakanlar Toplantısının ana konusu bölgedeki iklim değişikliğine karşı alınacak önlemlerin, stratejik hedeflerin ve planların tespit edilmesiydi.
CAREC tarafından geliştirilen İklim Değişikliği Vizyon Belgesi, bölgenin iklim risklerine karşı direncini güçlendirmeyi, sıcak gaz emisyonlarını azaltmaya ve düşük karbonlu ekonomiye geçişe yönelik çaba göstermeyi amaçlıyor.
Bakanlar Toplantısı çerçevesinde ayrıca ulaştırma, enerji, ticaret, turizm, iletişim ve bilim teknolojileri de dahil olmak üzere birçok sektörde üye ülkeler arasındaki işbirliğinin geliştirilmesini teşvik eden CAREC'in diğer öncelikli ticari-ekonomik yönleri da görüşüldü.

თბილისში ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) პროგრამის მინისტერიალი ჩატარდა.
საქართველო წელს პირველად იყო CAREC-ის თავმჯდომარე ქვეყანა 2016 წელს გაწევრიანების შემდეგ.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING




მინისტერიალს დაესწრნენ CAREC-ის მონაწილე ათი ქვეყნის სახელმწიფო უწყებების უმაღლესი თანამდებობის პირები, კერძო სექტორის, საერთაშორისო დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრეზიდენტი მასაცუგუ ასაკავა.

პროგრამა მიზნად ისახავს წევრ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობას, მინისტერიალებზე კი განიხილება რეგიონული თანამშრომლობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა - ვაჭრობის ხელშეწყობა, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროები და ა.შ.

თბილისში 22-ე მინისტერიალის ძირითადი თემა რეგიონში კლიმატის ცვლილებებისადმი მიმართული ღონისძიებების, სტრატეგიული მიზნების და გეგმების განსაზღვრა იყო.

CAREC-ის მიერ შემუშავებული კლიმატის ხედვის დოკუმენტის (Climate Change Vision Document) მიზანია რეგიონის მდგრადობა კლიმატის რისკების მიმართ და ძალისხმევის მიმართვა სითბური აირების შემცირებასა და ნახშირბადის დაბალი გამოყოფის მქონე ეკონომიკაზე გადასასვლელად.

მინისტერიალის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა CAREC-ის სხვა პრიორიტეტული სავაჭრო-ეკონიმიკური მიმართულებები, რაც ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას არაერთ სექტორში, მათ შორის - ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვაჭრობის, ტურიზმის, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში.

## Türkiye Ekonomisi Yılın Üçüncü Çeyreğinde %5.9 Büyüdü
## თურქეთის ეკონომიკა წლის მესამე კვარტალში 5.9%-ით გაიზარდა



Cari yılın 3. çeyreğinde Türkiye ekonomisi analistlerin öngördüğü oranın oldukça üzerinde- %5.9 ile keskin bir büyüme kaydetti.

Bir önceki çeyreğe kıyasla, GSYİH'nın büyüme oranı %0.3'ü oluşturmuş, bu da beklenmedik derecede iyi bir sonuç. Ekonomi büyümesine rağmen, Türkiye'nin ciddi enflasyon sorunuyla karşı karşıya olduğunu belirtilmeli. Bir yıllık döneminde ülke

genelinde tüketici fiyatları yaklaşık olarak %65 artmıştı; bu dünyanın en büyük enflasyon oranlarından biri.
Bu sorunun üstesinden gelmek için cari ay Türkiye Merkez Bankası refinansman oranını 500 baz puan artırma kararı vererek, ülkedeki ana faiz oranı %40 oldu.
Türkiye'de bir diğer sorun ulusal paranın rekor değer kaybetmesidir- dolar kuru 29 lira seviyesine kadar yükselerek yeni bir rekor kırmış oldu.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში თურქეთის ეკონომიკა მკვეთრად, 5.9%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ანალიტიკოსების მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს.
უშუალოდ წინა კვარტალთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი 0.3%-ს შეადგენს, რაც აგრეთვე მოულოდნელად კარგი შედეგია.
ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი სერიოზული ინფლაციური პრობლემის წინაშეა. ერთწლიან პერიოდში ქვეყნის მასშტაბით სამომხმარებლო ფასები დაახლოებით 65%-ითაა გაზრდილი, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინფლაციური მაჩვენებელია.
ამ პრობლემის დასაძლევად, მიმდინარე თვეს თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთის 500 საბაზო პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგად ქვეყანაში ძირითადმა განაკვეთმა 40%-ს მიაღწია.
თურქეთში არსებული კიდევ ერთი პრობლემა რეკორდულად გაუფასურებული ეროვნული ვალუტაა, ამჟამად ერთი დოლარის გაცვლითი კურსი 29 ლირას აღწევს, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

## Gürcistan-Türkiye: Denizcilik Sektöründe Karşılıklı Tanınma Anlaşması

## საქართველო-თურქეთი: სანაოსნო სექტორში ურთიერთაღიარების მემორანდუმი



Uluslararası Denizcilik Örgütü'nün (IMO) 33. Olağan Genel Kurulu çerçevesinde Gürcistan ile Türkiye Cumhuriyeti arasında kıyı seyri yapan denizcilerin sertifikalarının tanıtılmasını kapsayan karşılıklı tanınma anlaşması imzalandı.
Anlaşmaya göre, Gürcistan'da onaylı denizciler Türkiye'de kıyı seyri yapan gemilerde çalışabilirler ve tersine.
İmzalama öncesi yapılan toplantıda, Gürcistan Deniz Taşımacılığı Ajansı Müdürü, Aleksi Akhvlediani Türk heyeti ile denizcilik sektöründe iki ülke arasında mevcut ve gelecek işbirliğinin öncelikli alanları görüştü.

Bunlar arasında hem denizcilerin eğitimi ve belgelenmesi, hem de Karadeniz bölgesinde güvenli denizciliği sağlanması açısından işbirliğinin geliştirilmesine hazır olunduğu ifade edildi.
Ayrıca Gürcistan ile Türkiye arasında vapur seferlerinin organize edilmesine da değinildi.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) გენერალური ასამბლეის 33-ე რეგულარული სესიის ფარგლებში, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთაღიარების მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომლის თანახმადაც მხარეებმა სანაპირო ნაოსნობაში ჩართული მეზღვაურების სერტიფიკატები აღიარეს.
კერძოდ, მემორანდუმის თანახმად, საქართველოში სერტიფიცირებული მეზღვაურები შეძლებენ თურქეთის სანაპირო ნაოსნობაში ჩართულ გემებზე დასაქმდნენ და პირიქით.
ხელმოწერამდე გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა ალექსი ახვლედიანმა თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან ორ ქვეყანას შორის საზღვაო სექტორში მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა.
მათ შორის, გამოითქვა მზადყოფნა, გაღრმავდეს თანამშრომლობა როგორც მეზღვაურების განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების, ისე შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის კუთხით.
ასევე საუბარი შეეხო საქართველოსა და თურქეთს შორის საბორნე მიმოსვლის დანიშვნას.

## Kakao Fiyatları 45 Yılın Zirvesinde

## კაკაოს ფასები 45 წლის მაქსიმუმზეა





## Gürcistan’ın Dış Borcu $8.4 Milyarı Aşkın

## საქართველოს საგარეო ვალი $8.4 მილიარდს აჭარბებს

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.7026 TRY/GEL – 0.0935 EUR/GEL – 2.9421 GBP/GEL – 3.4164

USD/GEL

27 - 04 Ekım 2023




USD/TR

27 - 04 Ekım 2023




TRY/GEL

27 - 04 Ekım Kasım 2023




BTC – 41, 725, 08

27 - 04 Ekım Kasım 2023

